THE LAWS OF THE UR-NAMMU
ურ-ნამმუს კანონები

CHAREKISHVILI NINO
Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Gorgasali street #101, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

Abstract: The Georgian translation of laws of Ur-Nammu - king of Uri, the founder of Uri III dinasty's (2113–2096 B.C.) - with comments, are presented in this article. Ur-Nammu's code is the oldest codes of law, which has reached present period. Unfortunately, the existing material isn't complete. It is written on cuneiform tablets, in Sumerian language 2100-2050 B.C.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Sumerian language, Ur-Nammu, Laws, Ur III Dinasty,

ნინო ჩარექიშვილი
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პროფესორი,
დოქტორი, მის.: გორგასალის ქუჩა #101, თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: სტატიაში მოცემულია ურის მეფის, ურის მესამე დინასტიის დამაარსებლის ურ-ნამმუს (ძვ.წ. 2113–2096) კანონების ქართული თარგმანი და კომენტარები. ურ-ნამმუს კოდექსი არის უძველესი სამართლის კოდექსი, რომელმაც დღემდე მოაღწია. სამწუხაროდ არ არის სრული სახით შემორჩენილი. ის შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, შუმერულ ენაზე ძვ.წ. 2100–2050 წწ.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, შუმერული ენა, ურ-ნამმუ, კანონები, ურის მესამე დინასტია.

შესავალი: ურ-ნამმუ იყო ურის III დინასტიის დამაარსებელი და ურის მეფე. სანამ გამეფდებოდა, ის ურუქის მეფე უთუხენგალის ნაცვალს წარმოადგენდა, ხოლო მას შემდეგ, რაც უთუხენგალმა გუთიები განდევნა, ურ-ნამუ ქვეყანას აკონტროლებდა. ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ ის იყო მეფე უთუხენგალის ძმა, რომელიც მართავდა ურს დაახლოებით ძვ.წ. 2119 წლიდან ძვ.წ. 2112 წლამდე, სხვები თვლიან, რომ ურ-ნამმუ მისი შვილი იყო (Sasson, 200:139), მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა სამხრეთ და ცენტრალური მესოპოტამიის მმართველი. ურ-ნამმუმ მიიღო რამდენიმე ტიტული, მათ შორის:

„ძლევამოსილი ადამიანი“, „ურუქის მბრძანებელი“, „ურის მბრძანებელი“. დაიწყო ბრძოლა ლაგაშის მმართველის, გუდეას სიძის და მემკვიდრის ნამახანის წინააღმდეგ. დაამარცხა ის და ტყვედ აიყვანა, რომელიც მოგვიანებით სიკვდილით დასაჯა. ლაგაშის მმართველის დამარცხების შემდეგ ურ-ნამმუმ მიიღო "შუმერისა და აქადის მეფის" ტიტული, რომელიც გამოხატავდა მის სუვერენიტეტს მთელ ქვეყანაზე. ამის შემდეგ ურ-ნამმუმ გაატარა მთელი რიგი რეფორმები. მან შექმნა კანონები, რომელიც დღესდღეობით ყველაზე ძველია. კანონები სამწუხაროდ ფრაგმენტულია, თუმცა ზოგიერთი მუხლის ამოკითხვა შესაძლებელია. შესავალში მეფე-კანონმდებელი საუბრობს თავისი მმართველობის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ მმართველობის დასაწყისში მას არაერთი ღონისძიება ჩაუტარებია სახელმწიფოს სამხედრო თვალსაზრისით გასაძლიერებლად. ასევე მან გაიყვანა ახალი არხები, ძველი კი განაახლა სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის გასავითარებლად, დაადგინა ზომა-წონის ერთეულები. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ შედგენილმა რამდენიმე სააღმშენებლო წარწერამაც, სადაც საუბარია მისი ხელმძღვანელობით წარმოებული ტაძრების-ზიგურატების მშენებლობის შესახებ, როგორც ურში, ასევე ურუქში. მის შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი შულგი.

ურ-ნამმუ მოიხსენიება სხვადასხვა სამეფო საგალობლებსა და ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებებშიც. ერთ-ერთი ასეთი ლექსი ეხება ურ-ნამმუს აღსასრულს და აღწერს მის შესვლას ქვესკნელში. როგორც ჩანს, ის ბრძოლაში დაიღუპა.

მსჯელობა:

ტექსტის ისტორია: ურ-ნამმუს კოდექსი არის უძველესი ცნობილი სამართლის კოდექსი, რომელმაც დღემდე მოაღწია. შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, შუმერულ ენაზე ძვ.წ. 2100–2050 წწ.

კანონთა კოდექსის პირველი ასლის ორი ფრაგმენტი, რომელიც ნიფურში (დღ. ერაყში) აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, 1952 წელს თარგმნა სამუელ კრამერმა. ეს ფრაგმენტები ინახება სტამბოლის არქეოლოგიურ მუზეუმებში. ტექსტიდან მხოლოდ პროლოგი და ხუთი კანონის ამოიკითხვა იყო შესაძლებელი, ვინაიდან ტექსტი ფრაგმენტული იყო (Kramer, 1956: 52–55).

შემდგომი ფირფიტები იპოვეს ურშიც, რომელიც ითარგმნა 1965 წელს. ამ ფირფიტებმა მოგვცა 57 კანონიდან 30-ის რეკონსტრუქციის საშუალება (Gurney and Kramer, 1965:13-19). Sippar-ში ნაპოვნი კიდევ ერთი ასლი შეიცავს მცირე ვარიანტებს (Frayne, 1997: 9-90).

წინასიტყვაობა პირდაპირ მიუთითებს, რომ კანონების შემქნელი ურის მეფე ურ-ნამმუა. ზოგიერთი მკვლევარი მას ურ-ნამმუს ვაჟს შულგის (ძვ.წ. 2094-2047 წწ.) მიაწერს (Potts, 1999), ვინაიდან პროლოგში მოხსენიებული ყველა ისტორიული მოვლენა თითქოს არ შეიძლება მომხდარიყო ურ-ნამმუს მეფობის პერიოდში. თანაც შულგი ცნობილია ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმის აქტებით.

ტექსტიდან შემორჩენილია მხოლოდ პროლოგი და ორმოცზე ნაკლები კანონი. პროლოგში მოთხრობილია მეფის პოლიტიკური და ეკონომიკური მიღწევები, მათ შორის მშვიდობის უზრუნველყოფა საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობის აყვავებისთვის, ზომა-წონის ერთეულების რეგულაცია და სტანდარტიზება. პირველი კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას მკვლელობისთვის. შემდეგი კანონები ეხება სხვადასხვა კანონიერ თუ უკანონო ქმედებებს: მონებსა და თავისუფალ პირებს შორის კავშირებს, შვილების

მფლობელობას, სექსუალურ დანაშაულებს, ქორწინებას, სხეულის დაზიანებებს, დაუმორჩილებლობას, ცრუ მოწმეებსა და სასოფლო-სამეურნეო დანაშაულებებს. ყოველი კანონი იწყება შუმერული სიტყვით tukum-bi, „თუ“.

კოდექსი გვიჩვენებს ურის მესამე დინასტიის დროინდელ საზოგადოების სტრუქტურას. lugal - „დიდი კაცის“, მეფის ქვეშ საზოგადოების ყველა წევრი მიეკუთვნებოდა ორ ძირითად ფენას: თავისუფალი ადამიანს (lu - კაცი, ადამიანი), ან მონას (მამაკაცი - arad; ქალი - geme). თავისუფალი ადამიანი მოიცავდა შემდეგ კატეგორიებს: თავისუფალი ქალი (munus) ქალიშვილი (dumu-mi) ცოლი (dam), ქვრივი (nu-ma-su), რომელსაც შეეძლო ხელახლა დაქორწინება. თავისუფალ ვაჟიშვილს ეძახდნენ dumu-nita, მანამ სანამ არ დაქორწინდებოდა და არ გახდებოდა "ახალგაზრდა კაცი" – gurus, რომლებიც მონაწილეობენ სამეფო ან ტაძრის მიერ დაფინანსებულ საწარმოებში;

პროლოგი

(A i 1-30). [...] ურ-ნამმუ ძლიერი მეომარი, ურის მეფე, მეფე შუმერისა და აქადისა, [...] ქვეყანაში [...] თვეში 90 *გური*[1] ქერი, 30 ცხვარი, 30 *სილა*[2] კარაქი, რეგულარული ტაძრის შესაწირავი[3] დავაწესე [...]

(A i 31-42). როცა ღვთაებებმა ანმა და ენლილმა ქალაქ ურის მეფობა ღვთაება ნანას გადასცეს, მაშინ ურ-ნამმუს ღვთაება ნინსუნას ძე შობილს, საყვარელ სამკვიდროში დაბადებულ *ემედუს*[4], მისი (ღვთაება ნანას) სამართლიანობისკენ, ჭეშმარიტებისკენ

(A i 43-ii 74). [...] ღვთაება [...] მისცა მას შვიდი [...]

(A ii 75-86). მე დავაწინაურე ნამხანი, ქალაქ ლაგაშის მმართველი. ყველგან, ქალაქ მაგანში ღვთაება ნანას ნავი, ჩემი ბატონის, ღვთაება ნანას ძალით, დავაბრუნე და ქალაქ ურში გავბრწყინდი.

(A ii 87-92). იმ დროს *ნისქუ*-ხალხი[5] აკონტროლებდა მინდვრებს, საგარეო (საზღვაო) ვაჭრობას[6] მეხომალდეები აკონტროლებდნენ.

(A iii 93-103). [...] ხარი წაართვეს[7] [...] ცხვარი წაართვეს [...]

---

[1] gur – ბიბლიური kor = 300 sìla ძველ აქადურ და ახალშუმერულ პერიოდებში; = 144 sìla ძველ შუმერულ გირსუ/ლაგაშში; gur "kor" (a capacity measure = 30 bán = 300 silà = ca. 250 liters in Ur III and OB). Foxvog, 2010:21.

[2] sìla, sìl, šál – measure of capacity, liter = 0.842 modern liters in the Neo-Sumerian period; measuring pot (si$_{14}$, 'a small pot', + lá, 'to weigh'; but cp. also, sal, 'uterus') [SILA$_3$ archaic frequency: 57; concatenates 3 sign variants]. Halloran, 1999:32; sìla (a capacity measure = 0.842 liter or ca. 9/10 quart). Foxvog, 2010:48.

[3] sá-dug$_4$/du$_{11}$ – რეგულარული ტაძრის შესაწირავი. სიმძლავრის საზომი, რომელიც უდრის სარგონამდელი პერიოდის გირსუში 24 sìla-ს და აქადური პერიოდში 40 sìla-ს. Halloran, 1999:133.

[4] emedu – სახლში/სამკვიდროში დაბადებული მონა, (eme, „დედა“, + tud/dú, „დაბადება“). Halloran, 1999:54.

[5] nisku – nakasu ამ ზმნიდან უნდა მომდინარეობდეს (ჩამოჭრა, მიწის ნაკვეთის შემცირება), (CAD 11, 1980:171). მ. ღამბაშიძე მიიჩნევს, რომ ისინი იყვნენ რეესტრის თანამშრომლები, რაც სავსებით გასაზიარებელია.

[6] nam-ga-eš$_8$ – (საგარეო) ვაჭრობა. Foxvog, 2010:39.

(A iii 104-113). [იმ დროს, მე ურ-ნ]ამუმ, [ძლიერმა მეომარმა], [ქალაქ ურის მეფემ], [შუმერისა] და აქადის მეფემ, ჩემი ბატონის – ღვთაება ნანას ძალით, [ღვთაება უთუს] ბრძანებით, დავამკვიდრე სამართლიანობა ქვეყანაზე.

(A iii 114-124). [...] დავბრუნდი. მეხომალდე (ვინც) საგარეო (საზღვაო) ვაჭრობას ეწევა, მწყემსს (ვისაც) ხარი წაართვეს, ცხვარი წაართვეს, ვირი წაართვეს, (მათთვის) აქადელებისთვის, უცხოელებისთვის[8], მე გავათავისუფლე შუმერისა და აქადის ქვეყნები.

(A iii 125-134, C i 1-10). იმ დროს, აქშაქის ქვეყანა, მარადას ქვეყანა, გირქალის ქვეყანა, ქაზალუს ქვეყანა და მათი დასახლება, უცარუმის ქვეყნის ქონება, ანშანის ქვეყნის დაქვემდებარებაში (არსებული ტერიტორიები), ჩემი მეუფის, ღვთაება ნანას ძალით გავათავისუფლე.

(A iii 135-iv 149, C i 11-21). მე დავადგინე სპილენძის[9] *გარიგა*[10]-საზომი და შევუსაბამე[11] 60 *სილას*. დავადგინე სპილენძის *გან*[12]-საზომი და შევუსაბამე 10 *სილას*. დავადგინე სამართლიანი მეფის სპილენძის *გან*-საზომი და შევუსაბამე 5 *სილას*. (დავადგინე) ქვის (წონის) ზღვარი[13] 1 *შიკლი* ვერცხლი[14] და შევუსაბამე 1 *მინას*.[15] მე დავადგინე ბრინჯაოს[16] 1 *სილა*-საზომი და შევუსაბამე 1 *მინას*.

(A iv 150-161, C i 22-ii 29). იმ დროს, მდ. ტიგროსის[17] ნაპირებზე, მდ. ევფრატის[18] ნაპირებზე, ყველა მდინარის ნაპირებზე ბორანი[19] რეგულარული გავხადე[20]. მაცნეებს[21]

---

[7] dab(2,4,5), dib(2) – აღება, წართმევა, დაჭერა; შეკვრა, შეკვრა; წაართმევს; დაქირავება; გამართავს; მიღება. Halloran, 1999:21.

[8] ĝiri$_5$, ĝir$_5$[KAŠ$_4$] – უცხო, ლტოლვილი http://sumer.grazhdani.eu/index.php

[9] urudu – სპილენძი. Foxvog, 2010:61.

[10] bariga (ძვ. შუმ. პერიოდში)] – ტევადობის საზომი. 36 sìla ძველ შუმერულ პერიოდში და 60 sìla ძველ აქადურ და ახალშუმერულ პერიოდებში. უდრის 6 ბანს. Halloran, 1999:52.

[11] gi(n), ge(n) – დამტკიცება, სტაბილიზაცია, სიტყვ.: სტანდარტიზაცია (წონები ან ზომები). Halloran, 1999:10.

[12] bán – ჭურჭელი; საწყაო, სიმძლავრის ან მოცულობის საზომი = 10 ლიტრი (sìla) Ur III პერიოდში; 6 ლიტრი სარგონამდელ გირსუში. Halloran, 1999:36.

[13] zag, zà – ზღვარი, პროცენტი. Halloran, 1999:28.

[14] kù , kug – ვერცხლი; ძვირფასი ლითონი; ფული; სუფთა, წმინდა. Halloran, 1999:25.

[15] იგივე mana.

[16] zabar [UD.KA.BAR] – ბრინჯაო. Foxvog, 2010:62.

[17] Idigna – ტიგროსი (ída/íd, „მდინარე“, + i, „უპიროვნო სიტყვიერი უღლების პრეფიქსი“, + ĝin, „წასვლა“, + სახელწოდებით a, „მდინარე, რომელიც მიდის“, ტიგროსი უფრო სწრაფად მოძრავი მდინარე იყო, ვიდრე ევფრატი; ნაკლებად მოსალოდნელი იყო მისი ადიდება. Halloran, 1999:58.

[18] Buranun – ევფრატი (bu$_5$, „მიწყდომ-მოწყდომა“, + ra, „დატბორვა, ადიდება, წალეკვა“, + nun, „დიდი, კეთილშობილი“). Halloran, 1999:52. http://sumer.grazhdani.eu/index.php

[19] addir [A.PA.ĜISAL.PAD.DIRIG] – ბორანი; ხიდი (ída/íd, “მდინარე”, + dirig/dir, “გადავლა”). Halloran, 1999:50.

[20] si-sá – გაკეთება ან შესრულება რეგულარულად, სწორად; რეგულარული გახადოს, მოწესრიგება; მომზადება, მზად, სწორი გზით, მოწესრიგებული.

[21] kaš$_4$, kas$_4$ – n., მაცნე, მორბენალი, კურიერი; არარეზიდენტი, არამოქალაქე. Halloran, 1999:109; http://sumer.grazhdani.eu/index.php

მდინარის კალაპოტი[22] [...], მე [ავაშენე] (გზისპირა) სახლი. [მე გავაშენე] ბაღი[23], მეფემ მათ (მომვლელად) მებაღე[24] დააყენა.

(A iv 162-168, C ii 30-39). მდიდარ კაცს[25] სუსტი[26] არ მივეცი.[27] ქვრივი[28] გავლენიან ადამიანს[29] არ მივეცი. 1 *შიკლის* (ღირებულების) ადამიანი 1 *მინად* არ მივეცი. 1 ცხვრის (მქონე) ადამიანი 1 ხარიან ადამიანს არ მივეცი.

(A iv 169-170, C ii 40-51). მე დავასახლე ჩემი ოლქის მმართველები,[30] ჩემი დედები, ჩემი ძმები და მათი ოჯახები. ბრძანებები არ გამიცია! მითითებები არ მიმიღია! მე აღმოვფხვერი ბოროტება, ძალადობა და ტირილი სამართლიანობისთვის[31]. მე დავამყარე სამართლიანობა[32] ქვეყანაზე.

(C iii 52). იმ ჟამად:

კანონები

1. (C iii 52-54). თუკი[33] კაცი[34] მკვლელობას ჩაიდენს, ეს კაცი უნდა მოკვდეს.
2. (C iii 55-56). თუკი კაცი იყაჩაღებს, ეს (კაცი) უნდა მოკვდეს.
3. (A iv 195, C iii 57-60). თუკი კაცი დაატყვევებს (ვინმეს უმიზეზოდ), ეს კაცი უნდა დააპატიმრონ და (ასევე) მან 15 *შიკლი*[35] ვერცხლი უნდა მიუწონოს.
4. (A v 196-198, C iii 61-64). თუკი მონა კაცი[36] მონა ქალზე[37] დაქორწინდება, (შემდეგ) მონა კაცი გათავისუფლდება, ის სახლიდან არ უნდა წავიდეს.
5. (A v 205-215, C iii 65-75). თუკი მონა კაცი თავისუფალზე[38] დაქორწინდება, პირველი ვაჟიშვილი[39] ბატონს[40] უნდა ემსახუროს. ის შვილი, (რომელიც) ბატონს ემსახურება,

---

[22] šag$_4$, šà – მდინარის კალაპოტი. Halloran, 1999:27.

[23] kiri$_6$...dù – ბაღის გაშენება („ბაღი“ + „გაშენება“). Halloran, 1999:113.

[24] santana, šandana, šandan – ჰერბალისტი, მებაღე, ფინიკის ბაღის ადმინისტრატორი. Halloran, 1999:65.

[25] lú-níĝ-tuku – მდიდარი კაცი, მდიდარი ადამიანი („კაცი“ + „ნივთი“ + „ქონა“). http://sumer.grazhdani.eu/index.php

[26] sig, si-ig – პატარა, სუსტი. Foxvog, 2010:47.

[27] ანუ არ ჩავუგდე ხელთ, არ დავაჩაგრინე.

[28] nu-mu-un-su, nu-ma-su – ქვრივი. Halloran, 1999:131.

[29] lú-á-tuku – ძლიერი მამაკაცი, გავლენიანი ადამიანი („კაცი“ + „ძალა“ + „ქონა“). Halloran, 1999:115.

[30] GIR.NITA – სამხედრო წოდება, სამხედრო გუბერნატორი, გენერალი (?) (აქ.: შაქანაქუ – šaggina, šaggin, šagina). Halloran, 1999:66. *šakkanakku* (=^{LÚ}GIR$_3$-NITA$_2$), სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის წარმომადგენელი ქვეყნის ნაწილში, ოლქის მმართველი, გუბერნატორი, Schramm, 2010:58.

[31] i-^{d}Utu – შეძახილი; საჩივარი; ტირილი სამართლიანობისთვის; „ოჰ, შამაშ!“, მიმართვა სამართლიანობისთვის. Halloran, 1999:102.

[32] níĝ-si-sá – თანასწორობა, სამართლიანობა, სამართლიანობა („საგნები“ + „სწორი“). http://sumer.grazhdani.eu/index.php

[33] tukumbi – თუ, თუკი, იმ შემთხვევაში. Halloran, 1999:68.

[34] lú – კაცი, ადამიანი; ვინმე; ვინც; პასუხისმგებელი პირი; Foxvog, 2010:35. თავისუფალი მეთემე.

[35] gín – წვრილი ფული, ხურდა, ვერცხლის ფული, შიკლი/ სიკლი; shekel (of silver) = ca. 8.333 grams; a surface area measure, 1/60 square nindan (sar) = 180 surface še = 2160 (=36,0) square fingers; a volume measure, = 0.3 cubic meters. Halloran, 1999:37. gín (giĝ$_4$) shekel (a weight = 1/60 ma-na = 8 gr.). Foxvog, 2010:20.

[36] arad, árad → ìr – მონა კაცი, მსახური, ყმა. Foxvog, 2010:29.

[37] géme – მონა ქალი, მხევალი. Foxvog, 2010:18.

თავის მამისეულ ქონებას [...] კედელს, სახლს [...]. თავისუფალის შვილი ბატონის არ იქნება,[41] (თუმცა) მონად გადაიქცევა.[42]

6. (C iv 76-80). თუკი კაცი ახალგაზრდა კაცის[43] ქალწულ[44] მეუღლეზე[45] იძალადებს, და შემდეგ ამას უარყოფს, ეს კაცი უნდა მოკვდეს.
7. (A v 225-231, B i 1-10, C iv 86-92). თუკი კაცის ცოლი ახალგაზრდა კაცს თავისი ნებით მიუახლოვდება და მასთან დაწვება, ეს ქალი უნდა მოკვდეს, კაცი კი გათავისუფლდება.
8. (A v 232-235, B i 11-19, C iv 81-85). თუკი კაცი სხვა კაცის ქალწულ მონაზე იძალადებს და შემდეგ ამას უარყოფს, მან 5 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
9. (B i 20-24, C iv 93-97). თუკი კაცი თავის მეუღლეს, პირველი რიგის ცოლს[46] მიატოვებს. მან მას 1 *მინა*[47] ვერცხლი უნდა მიუწონოს.
10. (A vi 246-249, B i 25-29. C iv 98). თუკი (კაცი) ქვრივ ქალს[48] მიატოვებს, მან მას ½ *მინა* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
11. (A vi 250-254, B i 30-36). თუკი (კაცი) ქვრივთან ურთიერთობს წერილობითი დოკუმენტის გარეშე,[49] კაცი მას ვერცხლს არ მიუწონის.
12. (A vi 267-269, B i 37). თუკი [...]
13. (A vi 270-vii 280, B ii 1-2). თუკი კაცი კაცს ცილს დასწამებს [...], ის მას წაიყვანს ღვთაებრივ მდინარეზე[50] ორდალიით გამოსაცდელად. (თუკი) ღვთაებრივი მდინარე ორდალიით განწმენდს.[51] კაცმა, ვინც მოიყვანა (ე.ი. ბრალდებულმა) [...] 3 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს (ბრალმდებელს).

---

[38] dumu-gir15/gi7 – თავისუფლად დაბადებული, შუმერი [უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული მონებისგან განსხვავებით] („ბავშვი“ + „მშობლიური ჯგუფი“). Foxvog, 2010:13.

[39] dumu-nita(h) – ვაჟიშვილი. Foxvog, 2010:13.

[40] lugal – მეფე, ბატონი, მფლობელი. აქ: კონტექსტიდან გამომდინარე უფრო ბატონი უნდ აიგულისხმებოდეს ვიდრე მეფე.

[41] ანუ მისი საკუთრება არ გახდება, არ იქნება.

[42] ამ კანონიდან ჩანს, რომ ბავშვი ავტომატურად არ არის მეფის/ბატონის კერძო საკუთრება დაბადებიდან, შესაძლოა, დედის თავისუფალი სტატუსის გამო. თუმცა, მამის მონური სტატუსის გამო, ბავშვი მაინც განწირულია გახდეს არათავისუფალი პირი ან მოექცეს რაიმე სახის დაქვემდებარებაში. კანონი ხელს უშლის მეფეს/ბატონს, უბრალოდ მოითხოვოს ბავშვი, როგორც თავისი საკუთრება პირველივე დღიდან, მაგრამ ის მაინც უზრუნველყოფს ბავშვის მონურ სტატუსს სხვა გზით.

[43] ĝuruš – (ახალგაზრდა) კაცი; უნარიანი კაცი, ზრდასრული მამაკაცი, მუშა. Foxvog, 2010:24.

[44] a-nu-gi4-a/ á-nu-gi4-a – დაუძლეველი. Halloran, 1999:75. აქ: ქალწული.

[45] dam – მეუღლე (ქმარი ან ცოლი). Foxvog, 2010:33.

[46] nitadam, nitalam – ცოლი, პირველი რანგის/რიგის ცოლი. http://sumer.grazhdani.eu/index.php

[47] mana – წონის საზომი ერთეული, mina = ca. 500 გრამი = 60 gín (აქადის პერიოდიდან მოყოლებული, 2 ma-na = 1 sìla წყალი). Halloran, 1999:117; weight measure = 60 gín = 0.48 kg. Foxvog, 2010:36; მესოპოტამიაში gin - შიკლი; 1 მანა = 60 შიკლ ვერცხლს, 1 შიკლი ვერცხლი = 8,3 გრ.

[48] nu-mu-un-su, nu-ma-su – ქვრივი. Halloran, 1999:131.

[49] ანუ სექსუალურ კავშირს დაამყარებს ქვრივთან ოფიციალური წერილობითი კონტრაქტის გარეშე.

[50] ორდალია მდინარის წყლით გამოცდის, განწმენდის წესი, თუ ბრალდებული გაუძლებდა გამოცდას უდანაშაულოდ ცხადდებოდა. i7-lú-ru-gú - ordeal-river (often divinized). Foxvog, 2010:27.

[51] ანუ მისი უდანაშაულობა დამტკიცდება.

14. (B ii 3-12). თუკი კაცი ახალგაზრდა კაცის ცოლს მრუშობას დააბრალებს, (მაგრამ) ღვთაებრივი მდინარე ორდალით განწმენდს. ბრალმდებელმა ბრალდებულს 1/3 *(მინა)* ვერცხლი[52] უნდა მიუწონოს.
15. (B ii 13-23). თუკი სიძე[53] სიმამრის სახლში შევა, შემდეგ სიმამრი ცოლს სხვა კაცს, მის (სიძის) მეგობარს აძლევს, (მაშინ) რაც მოიტანა (საქორწინო საჩუქრები სიმამრის სახლში სიძემ) მან (სიმამრმა) მას (სიძეს) ორმაგად უნდა დაუბრუნოს.
16. (B ii 24-34). თუკი [...] კაცი [...] 2 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
17. (A vii 314-323). თუკი მონა ქალი [...] ქალაქის საზღვარს გადაკვეთს, და კაცი ვინმე დააბრუნებს, პატრონმა კაცს (დამბრუნებელს) [...] *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
18. (A vii 324-viii 330, B ii 35-41). თუკი კაცი კაცს ფეხს მოაჭრის, მან მას 10 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
19. (A viii 331-338). თუკი კაცი კაცს ხის იარაღით ფეხს მოსტეხს,[54] მან მას 1 *მინა* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
20. (A viii 339-344, B ii 42-47). თუკი კაცი კაცს [...] ცხვირს მოაჭრის, მან მას 2/3 *მინა*[55] ვერცხლი უნდა მიუწონოს.
21. (A viii 345-349, B ii 48-54). თუკი [კაცი კაცს ...] მოაჭრის [...] *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
22. (B ii 55-iii 4). თუკი კაცი კაცს კბილს დაუ[ზიანებს ...] 2 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
23. (B iii 5). თუკი [...].
24. (B iii 34-44). თუკი [... მონა ქალს] მოიყვანს, თუ მონა ქალი არ ჰყავს, მის ნაცვლად 10 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს. თუ ვერცხლი არ აქვს, რაც აქვს ის უნდა მისცეს.
25. (B iii 45-51). თუკი მონა ქალი კაცს ქალბატონივით განსჯის, უბრძანებს, მან პირი 1 *სილა* მარილით უნდა გაიხეხოს[56].
26. (B iii 52-55). თუკი მონა ქალი კაცს ქალბატონივით დაარტყამს [...].
27. (B iv x-33). [თუ...]
28. (B iv 34-40). თუკი კაცი მოწმე გამოჩნდება და ქურდს[57] გამოავლენს, მან 15 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.
29. (B iv 41-46). თუკი კაცი მოწმე გამოჩნდება და საზეიმო ფიცის დადებაზე უარს იტყვის, მან საქმის ღირებულებით უნდა აანაზღაუროს.
30. (B iv 47-v 1). თუკი კაცი კაცის ნაკვეთს, სხვა კაცის მინდორს (დაუკითხავად) დაამუშავებს, და (შემდეგ) ის იჩივლებს, რომ მეპატრონემ (ყანა) მიატოვა – ის კაცი მის ხარჯებს დაკარგავს.[58]

---

[52] მანას, იგივე მინა, 60 შიკლის 1/3, ანუ 20 შიკლი.

[53] mí-ús-sá-tur – სიძე. Foxvog, 2010:120.

[54] ან ძვალს ჩაუმტვრევს.

[55] იგივე მინა (mina), ანუ აქ 40 შიკლი.

[56] šub$_6$ – გახეხვა, დასველება. Foxvog, 2010:48; ალოკვა, Halloran, 1999:22.

[57] lú-ní-zuh - ქურდი ("კაცი" + "საკუთარი" + "მოპარვა, გაძარცვა"). Foxvog, 2010:35, http://sumer.grazhdani.eu/index.php

[58] ეს კანონი ნიშნავს, რომ თუ ვინმე სხვის ნაკვეთს დაამუშავებს (უჩუმრად ან დაუკითხავად) და შემდეგ შეეცდება, რომ მოსავალი მიითვისოს იმ საბაბით, რომ პატრონს მინდორი მიტოვებული ჰქონდა, მას არაფერი გამოუვა. პირიქით, ის არა მხოლოდ ვერ მიიღებს მოსავალს, არამედ იმ ფულსაც დაკარგავს, რაც მინდვრის დამუშავებაზე დახარჯა.

31. (B v 2-7). თუკი კაცი კაცის ნაკვეთს წყლით დატბორავს, 1 *იქუზე*[59] 3 *გური* ქერი უნდა გაზომოს.
32. (B v 8-17). თუკი კაცი კაცს ნაკვეთს დასამუშავებლად მისცემს, (მაგრამ) ის არ დაამუშავებს, ცარიელს დატოვებს, (მაშინ) 1 *იქუზე* 3 *გური* ქერი უნდა გაზომოს.
33. (B v 18-20). თუკი კაცი კაცს [...].
(აკლია)
37. (B vi 1). [...] მიუწონოს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

Brinkman, J.A., Civil, M., Gelb, I.J., Oppenheim, A.L., Reiner, E., (1980). The Assyrian Dictionary. Volume 11. N. Part I. 171.

Civil, M., (1985). On some texts mentioning Ur-Namma, Orientalia 54:33–6.

Daniel, A. F., (2016). Introduction to Sumerian Grammar. N.2.

Foxvog, D.A., (2010). Elementary Sumerian Glossary. Guerneville, California USA.

Frayne, D.R., (1997). Ur III Period (2112-2004 BC) (The Royal Inscriptions of Mesopotamia: Early Periods, vol. 3/2) (Toronto). 9-90.

Gurney, O.R., Kramer, S.N., (1965). Two Fragments of Sumerian Laws. Assyriological Studies N.16. 13–19

Hallo, W.W., (1966). The Coronation of Urnammu. Journal of Cuneiform Studies 20:133-41.

Halloran, J.A., (1999). Sumerian Lexicon. Version 3.0. Last revised August 11, 1999 Home page for the Sumerian lexicon: http://www.sumerian.org

Klein, J., (1981). The Royal Hymns of Shulgi, King of Ur: Man's Quest for Immortal Fame. Vol. 71, No. 7 . American Philosophical Society. 1-48.

Kramer, S.N., (1983). The Ur-Nammu Code: who was its author? Orientalia 52:453–6.

Kramer, S.N., (1956). History begins at Sumer. 52–55.

Kramer, S.N., (1967). The Death of Ur-Nammu. Journal of Cuneiform Studies 21:104–22.

Kuhrt, A., (1995). The Ancient Near East c. 3000-330 BC, 2 vols. London.

Leick, G., (1999). Whos Who in the Ancient Near East. London and New York . 172-173.

Michalowski, P., (1989). The Lamentation over the Destruction of Ur (Winona Lake, Ind.).

Potts, D.T., (1999). The Archaeology of Elam. Cambridge University Press. 132.

Roth, M.T., (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).

Sasson, J.M., (2000). The Ancient Near East. An Encyclopedia for Students. V 1. 139.

Schramm, W., (2010). Akkadische Logogramme. Zweite, revidierte Auflage. Göttinger Beiträge zum Alten Orient, Band 5. Universitätsverlag Göttingen.

Sollberger, E., (1954-6). Sur la chronologie des rois d'Ur et quelques problèmes connexes, Archiv für Orientforschung 17:10-48.

Wilcke, Cl., (2002). Der Kodex Urnamma (CU): Versuch einer Rekonstruktion. Riches hidden in secret places: ancient Near Eastern studies in memory of Thorkild Jacobson, edited by Zvi Abusch.

[59] iku – ზედაპირის ზომა 3600 მეტრი2 = 100 sar = 1 კვადრატული „თოკი" = 1/18 bùr. Halloran, 1999:19; 1/18 bùr = 100 sar = ca. 3,528 sq. meters. Foxvog, 2010:28.